სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №22

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 15 იანვარი 2018 წელი.

ხელშეკრულების მხარეები:

შპს **,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"** (შემდგომში **,,შემსყიდველი"**) წარმოდგენილი დირექტორი **მინდია კახიძე.**

შპს **,,მათემოტორსი"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), დირექტორ **ავთანდილ გელავას** მინდობილი პირი აჭარის ფილიალის წარმოდგენილი დირექტორი **დომენტი ჩხეტია.**

ორთავე ერთად **,,მხარეებად"** წოდებულნი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის გამარტივებული შესყიდვის შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ,,შემსყიდველი ორგანიზაციის" კუთვნილი 2012 წელს გამოშვებული „ჰიუნდაი H-1"-ს მარკის ავტომანქანაზე (სახ ნომრით: CNC-941;) 1 ცალი მარჯვენა ბურთულა სახსარის (შარავოი), 4 ცალი წინა და უკანა მშრალი რეზინები, 1 ცალი საჭის წევა (ყუმბარა), წინა თვლების (რაზვალი) გასწორება, შესყიდვა/მომსახურეობა.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 50100000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 470 (ოთხასსამოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (**სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები და შპს სახსრები**) მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის შესყიდვისა და მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. საქონლის შესყიდვისა და მომსახურების გაწევის ადგილი, ვადა და გარანტია

6.1. საქონლის შესყიდვისა და მომსახურების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის სერვის ცენტრი, ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N43.

6.2. საქონლის შესყიდვა და მომსახურება განხორციელდეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში.**

6.3. შესყიდული საქონლისა და გაწეული მომსახურების საგარანტიო პერიოდი განისაზღვროს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 თვე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლისა და მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

- მოთხოვოს შემსყიდველს საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს საქონელი და მომსახურება სათანადო ხარისხისთ და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი და მომსახურება ნაკლის მქონე აღმოჩნდება, **შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის** ვადაში, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი ახლით;

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **0.02 %.**

8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **4%-ს,** შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

14.1. „მხარეები" ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"	შპს „მათემოტორსი" აჭარის ფილიალი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490	საიდენტიფიკაციო კოდი: 204470063
მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154	იურიდ. მის: თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის სანაპირო, №6;
ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com;	ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N43;
ტელეფონი: (+422) 25 87 03;	ელ.ფოსტა: law@matemotors.com; matemotors@mail.ru
	ტელეფონი: (+995) 591 40 95 77;
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი" ბათუმის ფილიალი	მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი:TBCBGE22
ანგარიში№ GE92TB4457736020100006	ანგარიშის № CE92TB1148136020100004
------------------------------	------------------------------
დირექტორი: მინდია კახიძე	დირექტორი ავთანდილ გელაშვილი მინდობილი პირი აჭარის ფილიალის დირექტორი ომენტი ჩხეტია